პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 11 მაისი, 1943 წ. № 108 (6728). ფასი 20 კაპ.

ვემზადოთ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის

ახლოვდება ზაფხული. გავიდა უგზოობის დრო ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში, უხვი მზე აშრობს გზებს ჩრდილოეთ უბნებზე. შორს არ არის ის დღეები, როდესაც გააფთრებული ბრძოლები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ახალი ძალით გაჩაღდება.

გასულ ზამთარში წითელმა არმიამ სერიოზული დამარცხებანი აგემა ჰიტლერელთა ჯარებს. ცხარე ბრძოლებში მოსპობილია და ტყვედ წამოყვანილია მტრის ჯარისკაცებისა და ოფიცრების უდიდესი რაოდენობა, მნიშვნელოვნად განადგურებულია გერმანიის არმიის არსენალი. ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებულია მილიონობით საბჭოთა ადამიანი. წითელი დროშა კვლავ აფრიალდა ასობით საბჭოთა ქალაქსა და ათასობით სოფელში.

დარტყმა, რომელიც წითელმა არმიამ აგემა მტერს აღმოსავლეთიდან, ომის განმავლობაში პირველად შეერთდა დარტყმასთან, რაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ჩვენმა მოკავშირეებმა აგემეს. ამ ერთიანი საერთო დარტყმის მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავენ დღეს გამოქვეყნებული მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა გაუგზავნა ბ-ნ ჩერჩილსა და ბ-ნ რუზველტს ბრიტანეთისა და ამერიკის მამაცი ჯარების იმ ბრწყინვალე გამარჯვებასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ბიზერტისა და ტუნისის განთავისუფლება ჰიტლერული ტირანიისაგან.

საბჭოთა ხალხი მთელი სულითა და გულით უსურვებს მოკავშირეთა ჯარებს შემდგომ საბრძოლო წარმატებებს ჩვენს საერთო მტერთან — ფაშისტ მხეცთან ბრძოლაში.

ჰიტლერული გერმანია და მისი არმია შერყეულია არიან და კრიზისს განიცდიან, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებულნი. ჩვენ მოგველიხ სასტიკი და მძიმე ბრძოლა, რომელიც მოგვთხოვს არამცირე მსხვერპლს, უდიდეს გამძლეობას, რკინისებურ სიმტკიცეს. იმისათვის, რომ საბოლოოდ დავამარცხოთ მტერი, საჭირო იქნება მთელი ჩვენი ძალებისა და შესაძლებლობათა მობილიზაცია.

დაახასიათა რა საბჭოთა ჯარების წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანები, უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა 1 მაისს მთელ წითელ არმიას უბრძანა: **„განამტკიცოს და განავითაროს ზამთრის ბრძოლების წარმატებანი, არ დაუთმოს მტერს არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყალი, მზად იყოს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ“.**

ზამთრის კამპანიის განმავლობაში წითელმა არმიამ, ახორციელებდა რა უმაღლესი მთავარსარდლობის სტრატეგიულ გეგმებს, მთელი რიგი ბრწყინვალე ოპერაციები ჩაატარა მტრის ჯარების გარშემორტყმისა და მოსპობისათვის. როგორც ვიცით, გერმანელები ცდილობდნენ გარშემორტყმოდნენ ჩვენს ჯარებს ხარკოვის რაიონში და რევანში აეღოთ თავიანთ დამარცხებათათვის. მაგრამ მტრის კონტრშემოტევა საბჭოთა ჯარების წინაღმდეგობის კედელს წააწყდა და ჩაიხშო. გერმანელთა ვარაუდები ჩაიფუშა.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ ბრძოლებში გერმანელები არ შეეცდებიან ხელთ იგდონ ინიციატივა, არ მიმართავენ ახალ ავანტიურებს. მტერი ჯერ კიდევ არ არის დამარცხებული. მოგველის შეუპოვარი და გააფთრებული ბრძოლები ჯერ კიდევ ძლიერ მოწინააღმდეგეს. შესაძლებელია, რომ ცალკეულ უბნებზე ჩვენს ნაწილებს თავდაცვის წარმოება მოუხდეთ. მაგრამ როგორი ვითარებაც უნდა შეიქმნას ამა თუ იმ უბანზე, ერთი წუთითაც არ უნდა დავკარგოთ ჩამარჯვების ნებისყოფა, უნდა გამოვიჩინოთ შეუპოვრობა და სიმტკიცე, და გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

გასული თვის ბოლოს, მაგალითად, გერმანელებმა ყუბანში სცადეს შეეფიწროვებინათ ჩვენი ჯარები და ამ მიზნით გააფთრებული იერიშები მოჰქონდათ ქვეითი ჯარის, ტანკებისა და ავიაციის მონაწილეობით. მოწინააღმდეგის ყველა გამოხდომა მოგერიებულ იქნა ჰიტლერელებისათვის დიდი ზარალის მიყენებით, ხოლო შემდეგ წითელი არმიის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს მტრის თავდაცვა და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი —სტანიცა კრიმსკაია. მიუხედავად მოწინააღმდეგის გააფთრებული წინააღმდეგობისა, ჩვენი ნაწილები აქტიურ საბრძოლო მოქმედებას განაგრძობენ.

ყუბანში ბრძოლების გამოცდილება, აგრეთვე ზამთრის კამპანიის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მომავალ ბრძოლებში მტერი ჩაებღაუჭება ყოველ ბორცვს, ყოველ მაღლობს, ყოველ ხუტორს. გერმანელები მუდამ განსაკუთრებული გაფთრებით ისწრაფვიან დიდი ტაქტიკური მნიშვნელობის მქონე დასახლებული პუნქტებისაკენ, რკინიგზის კვანძებისა და მნიშვნელოვანი გზატკეცილების კომუნიკაციებისაკენ. ჩვენი საუკეთესო შვილების სისხლით წავართვით მტერს ეს პოზიციები. და ყოველი მეომარი, რომელმაც ფეხი შესდგა ამ წმიდა სისხლით მორწყულ ზღუდეებში, ვალდებულია იბრძოლოს მათთვის მტკიცედ, მამაცურად, უკანასკნელ შეესაძლებლობამდე. არ დაუთმონ მტერს არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყალი—აი წითელი არმიის ყველა მებრძოლისა და მეთაურის რკინის კანონი.

ამიტომ ყოველი მეთაურის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს შეტევითი ბრძოლების წარმატებათა შინარჩრნება, მტრის შესაძლო კონტრიერიშებისა და კონტრშანვრების წინააღმდეგ მომზადება. მტრის შესაძლო გამოხდომათა წინააღმდეგ წარმატებით მოქმედების საფუძველია ადგილზე უნარიანად გამაგრება. დაიკავებს რა ამა თუ იმ პოზიციას, მეთაურმა გულდასმით უნდა მოიფიქროს, თუ როგორ მიიტანდა თვითონ იერიშს ამ ზღუდეებზე, მტრის ადგილას რომ ყოფილიყო, რომელი მხრიდან მოიყვანდა ტანკებს, ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფებს, სად განალაგებდა არტილერიას. და დასკვნების შესაბამისად უნდა ააგოს თავდაცვა.

თავდაცვა მუდამ აქტიური უნდა იყოს. ყოველი საშუალებით მოჰქანცონ მტერი, არ მისცენ მას მოსვენება არც დღისით, არც ღამით, ულიტონ წყეული ჰიტლერელები ყოველი საშუალებითა და ყოველი მეთოდით, —აი ამოცანა ჩვენი ნაწილებისა, რომლებიც იმყოფებიან შეტევაშიც და თავდაცვაშიც.

ასეთი ტაქტიკა საშუალებას მოგვცემს სისხლისაგან დავცალოთ მტერი, მოვამზადოთ ბაზა მტრის წინაღმდეგ ახალი დარტყმისათვის. ამას ფრიად დამაჯერებლად მოწმობს წითელი არმიის ზამთრის კამპანიის გამოცდილება. სტალინგრადის დამცველთა სიმტკიცემ და შეუპოვრობამ, უსაზღვრო სიმამაცემ მოამზადეს ნიადაგი ვოლგისპირა ველებში ჰიტლერელთა არმიების გამაცამტვერებელი განადგურებისათვის.

ზამთრის ბრძოლების განმავლობაში წითელმა არმიამ გვიჩვენა თავისი გაზრდილი საომარი კულტურა და მოწიფულობა. განსაკუთრებული წარმატებით დაგვირგვინდა მანევრირების ტაქტიკის გამოყენება. მან ბრწყინვალედ გაამართლა თავისი თავი ბრძოლებში სტალინგრადთან, ვორონეჟის დასავლეთით, მტრის დიდი გარნიზონების ბლოკირების დროს ფრონტის სხვა უბნებზე. ამ ბრძოლების გამოცდილება ყოველნაირად უნდა იქნას გამოყენებული მოახლეობულ ბრძოლებში.

შეტევის დროს საბჭოთა ჯარებმა უნდა გამოიჩინონ გაბედულობა, გახორციელონ სწორი თანამოქმედება ბრძოლის ველზე, მოახდინონ გაბედული მანევრები, რაც მტრის გარშემორტყმათა და მოსპობით უნდა დამთავრდეს. სარდლობის გეგმები უნდა განხორციელდეს გაბედულად და თავდადებით, მიუხედავად დაბრკოლებისა, წინააღმდეგ ყოველგვარი სიძნელისა და გაჭირვებისა.

სამშობლომ წითელ არმიას მისცა მძლავრი ტექნიკა, ამბრაგებს მას მძლავრი ტანკებით, ფრთამალი თვითმფრინავებით, სიკვდილის მთესავი ზარაბზნებით, ყოველგვარი საჭურვლით. იარაღის ნაწილს ჩვენი მოკავშირეებისაგანაც ვიღებთ. მთელი ეს ტექნიკა სწორად უნდა იქნას დამიზნებული და სავსებით გამოყენებული ბრძოლის ველზე. რაც უფრო მჭიდროა ჯარების თანამოქმედება, მით უფრო ადვილად და მალე წარმატებით დამთავრდება დაწყებული ოპერაცია.

გაბედული მანევრი ბრძოლის ველზე პირდაპირი შედეგია ჩვენი მეთაურების, ჯარების წინამძღოლობის ოსტატების გაზრდილი წრთვნისა. სწორი და მტრისათვის მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღებით მეთაურს შეუძლია თავს მოახვიოს მტერს თავისი ნებისყოფა, დაარტყას მას ყველაზე მგრძნობიარე ადგილას და ამით უზრუნველჰყოს გამარჯვება.

მტერმა უკვე იგემა შემმუსვრელი ძალა წითელი არმიის დარტყმებისა. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებულნი, წარსული ბრძოლის გამოცდილებით შეიარაღებულნი, ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილნი, დაუღალავად ამაღლებენ რა თავის წრთვნას, საბჭოთა ჯარები ახალ გამანადგურებელ დარტყმებს აგემებენ მტერს და ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ხერხემალს გადაუმტვრევენ ფაშისტ მხეცს.

გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

„პრავდის“ მოწვინავე. 9/V.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტზე სამხედრო წესების შემოღების შესახებ

გავრცელდეს საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატზე, სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატზე და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ჩრდილოეთის საზღვაგზის მთავარ სამმართველოზე მოქმედება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 15 აპრილის ბრძანებულებისა „ყველა რკინიგზაზე სამხედრო წესების შემოღების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1943 წ. 9 მაისი.

ეკანასკნელი ცნობები

გერმანელებმა შესწყვიტეს წინააღმდეგობა ჯენისის ზრონგის სამხრეთ სექტორში

ლონდონი, 10 მაისი (ხაკდესი). ალიერის რადიოს ცნობით, დღეს, ნაშუადღევს, ტერძის სახელმწიფოთა ჯარებმა შესწყვიტეს წინააღმდეგობა ტუნისის ფრონტის სამხრეთ სექტორში.

ნიუ-იორკი, 10 მაისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჰოკავშირეთა ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის მრავალი გემი ჯარებიანად, რომლებიც ტუნისიდან გაქცევას ცდილობდნენ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

10 მაისის სალამოს ცნობა

10 მაისის განმავლობაში ჩვენს ჯარებს ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ძლიერი ცეცხლითი ბრძოლა ჰქონდათ მოწინააღმდეგესთან. ჩვენი ავიაცია მოწინააღმდეგის სიმაგრეებს და თავმოყრილ ქვეით ჯარს ურტყამდა.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, 6 შენაერთის არტილერისტებმა ჩაანთეს მოწინააღმდეგის 26 საარტილერიო და 12 სანაღმტყორცნო ბატარია, მოსპეს რამდენიმე საზენიტო ქვემეხი და დაანგრიეს ტრის მთელი რიგი ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟები. არტილერისტებმა ამხ. ობზალოვის მეთაურობით დაზიანეს 2 ტანკი და გაეელიტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. მფრინავებმა—სერჟანტმა ამხ. ვარაჩმა, უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. სიგარევმა, უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ბასტრიკოვმა და ლეიტენანტმა ამხ. კუდენკომ დღის განმავლობაში გერმანელთა ორ-ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს საჰაერო ბრძოლებში.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მოწინააღმდეგის 2 ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა და 15 ტანკმა იერიში მოიტანეს 6 ნაწილის პოზიციებზე. ჩვენმა მებრძოლებმა ჯერ რამდენადმე დაიწიეს, ხოლო შემდეგ ფლანგზე კონტრდარტყმით უკუაგდეს გერმანელები და თავდაპირველ პოზიციებზე გადარეკეს. ამ ბრძოლაში დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 9 ტანკი და მოსპობილია 300-მდე ჰიტლერელი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის 4 კონტრიერიში მოიგერიეს. მტერმა ბრძოლის ველზე 2 დაშავარი ტანკი და 100-ზე მეტი მოკლული დასტოვა.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით საარტილერიო სროლა სწარმოებდა ორივე მხრივ. ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 2 ქვემეხი და 6 ტყვიამფრქვევი და დაანგრიეს 4 ბლინდაჟი და 5 ძელმიწური საცეცხლე წერტილი. ჩვენი ქვეგანაყოფების და მზვერავთა ჯგუფების თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაელეტილია გერმანელთა ერთ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი.

* * *

ვოლოზოვის ფრონტის ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა დიდძალ არტილერიას, ჩვენმა მზვერავებმა ზუსტად გამოძიებეს გერმანელთა ბატარიების ადგილმდებარეობა. 6 შენაერთის არტილერისტებმა დაზვერვით მიღებული ცნობებით ისარგებლეს და მძლავრი ცეცხლითა თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარიებზე. დაკვირვებამ და საჰაერო დაზვერვამ გამოარკვია, რომ მტრის ბატარიების მნიშვნელოვანი ნაწილი მოსპობილია.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში ბოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გზატკეცილზე მოულოდნელად მიიტანა იერიში გერმანელთა კოლონაზე. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით და ხელის ყუმბარებით მოკლულია 52 ჰიტლერელი და დაჭრილია 29. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 6 ტყვიამფრქვევი, ავტომატები, შაშხანები და ბევრი ვაზნა. ლენინგრადელ პარტიზანთა სხვა რაზმის ამფეთქებელთა ჯგუფმა ლინდაგიდან გადააგდო გერმანელთა ეშელონი სამმარ მასალიანად. ფერდობზე გადავარდნილ ვაგონებს ცეცხლი გაუჩნდათ, ხოლო შიგ მოთავსებული სამმარი მასალა რამდენიმე საათის განმავლობაში სკდებოდა. 5 დღის შემდეგ ამავე უბანზე საბჭოთა პატრიოტებმა ნაღმებზე აფეთქეს გერმანელთა ჯარის 2 ეშელონი, რომლებიც პსკოვში მიემართებოდნენ. მოსპობილია 2 ორთქლმავალი, 29 ვაგონი და პლატფორმა საჭურვლიანად.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანიის 258-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცმა, პოლონელმა რუდოლფ სმ განაცხადა: „ჰიტლერელებმა პოლონეთის ოკუპაცია რომ მოახდინეს, უსასტიკესი რეპრესიები დაატეხეს თავს პოლონელებს. ბევრი ჩემი მეგობარი საკონცენტრაციო ბანაკსა და სიკვდილის ბანაკში მოხვდა. იან ვალახი და ბერნარდ კლენი საკონცენტრაციო ბანაკში დაიხოცნენ, შაფერნი ჰიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკიდან მარტო იმის შემდეგ გამოუშვეს, როცა იგი ჭკუაზე შეიშალა. რიბნიკელი ადვოკატი დომბეკი და ბევრი ქსენნი აქამდე საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებიან ოსვენციმში, სადაც რეჟიმი უაღრესი სისასტიკით განირჩევა. პოლონელებს საშინლად სძულთ გერმანელები. პოლონეთის მოსახლეობის უფართოესი წრეები სიმპატიით ეკიდებიან რუსეთსა და მის მოკავშირეებს. პოლონელები თავიანთ განთავისუფლების იმედს წითელი არმიის ბრძოლას უკავშირებენ“.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები მოწინააღმდეგის რკინიგზის კვანძებსა და სადგურებზე

8 მაისს ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზის დიდი კვანძები და სადგურები—ბრიანსკი, პოლტავა, კიროვოგრადი, ბელგოროდი, ზმიევკა, პუტივლი, დოროგობუჟი, უსპენსკაია და სხვები. ამავე დროს ჩვენი თვითმფრინავები ბომბავდნენ სარკინიგზო ეშელონებს შემდეგ უბნებზე: მცენსკი—ორიოლი, ორიოლი—კარაჩევი, რილსკი—ვოროჟბა, ნოვოსოკოლნიკი—ვიტებსკი, ლუდინოვო—ეიზდრა, სპას-დემენსკი—ელნია. თავდასხმების შედეგად დამსხვრეულია მრავალი ორთქლმავალი, სარკინიგზო შემადგენლობა და ავტომანქანები საომარ მასალიანად და სამხედრო ტვირთიანად, დანგრეულია დიდძალი სასადგურო ნაგებობანი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 75 თვითმფრინავი. საბრძოლო დავალებიდან არ დაბრუნებულა ჩვენი 21 თვითმფრინავი.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები მოწინააღმდეგის რკინიგზის კვანძებსა და აეროდრომებზე

9 მაისს ჩვენმა ავიაციამ დიდი თავდასხმა მოახდინა ბრიანსკის რკინიგზის კვანძზე. ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს აგრეთვე მოწინააღმდეგის რკინიგზის ეშელონები ბელგოროდ-ხარკოვის, ლოზოვაია-კრამატორსკაიას, ორიოლ-ლგაზუნოვკის, მცენსკ-ორიოლის, ნეველ-პოლოცკის და ვიტებსკ-ნოვოსოკოლნიკის უბნებზე. დაბომბვის შედეგად დამტვრეულია მრავალი ორთქლმავალი, რკინიგზის ეშელონები და ავტომანქანები ჯარებიანად და სამხედრო ტვირთიანად. ბრიანსკის სადგურზე შემჩნეულ იქნა რკინიგზის შემადგენლობათა და საომარი მასალის საწყობთა მძლავრი აფეთქება.

ამავე დროს ჩვენმა ავიაციამ წარმატებით დაბომბა მოწინააღმდეგის მთელი რიგი აეროდრომები.

ბრძოლები ყუბანში

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 9 მაისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები, რომელნიც საბრძოლო მოქმედებას განაგრძობენ, გერმანელთა თავდაცვის ახალ ხაზს მიადგნენ. მოწინააღმდეგე წინანდებურადვე ებღაუჭება ყოველ მაღლობს, ყოველ კლდეს, კონტრიერიშებზე გადმოჰყავს ტანკები, თვითმფრინავთა დიდი ჯგუფებით იცავს თავის სახმელეთო ჯარებს. გააფთრებული ბრძოლების შედეგად გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით.

საბჭოთა მეომრები შეუპოვრად ანგრევენ მტრის თავდაცვას, გაბედულად იჭრებიან მტრის ჯარების განლაგების სიღრმეში. ამ უკანასკნელი ბრძოლების დროს გმირულად შოქმედებდნენ გვარდიელები. მათ ღამით თავი მოიყარეს მოწინააღმდეგის მიერ გამაგრებული მაღლობის კალთასთან მდებარე ხევში და გარიცხაუზე იწყეს ამ მაღლობის იერიში. მებრძოლნი გაბედულად იჭრებოდნენ საწვრთნელ ბანაკებში, ხიშტსა და კონდახს სცემდნენ იქ გერმანელებს, სპობდნენ მათ ჯარისკაცებით. როცა წითელარმიელები უკვე მაღლობის კალთებზე იყვნენ, მწვერვალიდან მოულოდნელად სროლა ატეხა გერმანელთა 2 ტყვიამფრქვევმა. გვარდიის ლეიტენანტი კოვალიოვი წინ გაბოხდა. იგი შეინიშნა ბალახით, ბუჩქნარით, ზედ მიადგა ძელმიწურებს და შესძახა: „შეწყვიტეთ სროლა, ხელები მაღლა!“ თავისი ბრძანებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად მან მაღლა აღმართა გრანატანი ხელი. საქმის მოულოდნელი შებრუნებით თავზარდაცემულმა გერმანელთა მეტყვიამფრქვევეებმა იწყეს ბლინდაჟებიდან გამოძვრომა და ხელებაშვერილნი დგებოდნენ მწყობრში ლეიტენანტის წინ.

ლეიტენანტის მისაშველებლად მისულმა გვარდიელებმა დაუყოვნებლივ მიაბრუნეს ნადაული ტყვიამფრქვევები უკანდახეული მტრის წინააღმდეგ.

ისე როგორც ამჟამად, ჩვენი მეთაურები და მებრძოლები არასოდეს არ ყოფილან დარწმუნებულნი შეტევის ამ საუცხოო წესის სისწორეში: დაიკავე ზღუდე, გამაგრდი იქ. ასრულებდნენ რა ამ ბრძანებულ წესს, ლეიტენანტ საჩკოვის მსროლელებმა დღის განმავლობაში მოახერხეს მოეგერიებინათ მოწინააღმდეგის 8 გააფთრებული კონტრიერიში, გამაკვავებოდნენ სამ გამმაგებულ სამაიერო თავდასხმას. ლეიტენანტმა საჩკოვმა დაიკავა გერმანელთა სანგრების ხაზი და თავის მებრძოლებს უბრძანა დაუყოვნებლივ მიმართულებინათ სანგრები ირგვლივ თავდაცვისათვის. გერმანელებმა სცადეს სროლა ფლანგებიდან და ტყვიამფრქვევის ცეცხლს წააწყდნენ, სცადეს ჯიქურ მოეტანათ იერიში, და თოფის ზალპს წააწყდნენ. როცა მტრის თვითმფრინავები თავს გვესხმოდნენ, მსროლელნი და მეტყვიამფრქვევენი ერთსულოვნად უშენდნენ მათ ცეცხლს, და ამით გერმანელ მფრინავებს აიძულებდნენ განზე ჩამოეყარათ ბომბები. ამრიგად მოჰქანცა რა მოწინააღმდეგე, საჩკოვმა მარჯვე მომენტი შეარჩია, რომ კვლავ წინ წაწეულიყო.

ოსტატურად მუშაობენ ნაღმმტყორცნელები. გერმანელები მთელ დღეს იერეკებდნენ მაღლობს გადაღმა ძალებს კონტრიერიშისათვის, ქვეგანაყოფის მეთაურმა სუვოროვმა უბრძანა თავის მეთვალთვალელებს წინ წაწეულიყვნენ და თვალყური ედევნებინათ მოწინააღმდეგის მთელი მზადებისათვის. მეთვალთვალეები მთელ დღეს ინიშნავდნენ მიზნებს. მათ აღნიშნეს, თუ სად დადგეს გერმანელებმა თავიანთი ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები, სად განალაგეს სათვალთვალო პუნქტები. წინასწარ მომზადებულ იქნა ცნობები სროლისათვის, და, როცა გერმანელები ყოველი ნიშნის მიხედვით მზად იყვნენ დაეწყოთ კონტრიერიში, სუვოროვმა ბრძანება გასცა სროლა დაიწყეთო. ნაღმმტყორცნელებმა 20 წუთის განმავლობაში გაელეტეს მტრის ერთ ბატალიონამდე ცოცხალი ძალა, დაანგრიეს გერმანელთა 2 სათვალთვალო პუნქტი, მწყობრიდან გამოიყვანეს 6 დაზგისა და 2 ხელის ტყვიამფრქვევი, პირდაპირი მოხვედრებით დაამსხვრიეს ერთი ქვემეხი. გერმანელთა კონტრიერიში ჩაშალა.

ა. ვალიბაშვილი

ავიაესკადრილიები „საბჭოთა საქართველო“ ბრძოლაში

(წერილი ფრონტიდან)

იბარებდნენ რა მზიური საქართველოს მშრომელთა დანაზოგით აგებულ თვითმფრინავთა საბრძოლო ესკადრილიებს „საბჭოთა საქართველოს“, ჩვენი ავიანაწილის ამაყმა მფრინავებმა და პირადმა შემადგენლობამ, აღფრთოვანებულმა საქართველოს მშრომელთა ნდობით და მზრუნველობით, პირობა დასდეს: ჩვენს ხელში ეს მანქანები იქნება მძლავრი გამანადგურებელი ლახვარი ფაშისტი მეკობრეების წინააღმდეგ.

ამ გრძნობებით გამსჭვალულნი გაფრინდნენ რა ფრონტზე, სტალინური ამაყი შევარდნები დიდი ენტუზიაზმით შეუდგნენ საბრძოლო ამოცანების შესრულებას.

ამ რამდენიმე დღის წინათ მიღებულ იქნა პირველი საბრძოლო დავალება. აეროდრომზე აგუგუნდნენ „საბჭოთა საქართველოს“ მძლავრი მოტორები და სიგნალის მიცემისას ელვის სისწრაფით მოსწყდა მიწას ლენინის ორდენოსან კაპიტან ალექსანდროვიჩის ქვედანაყოფის თვითმფრინავთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი მაკარსკი. განვლო გარკვეულმა დრომ. მებრძოლ თვითმფრინავთა ჯგუფი უდანაკლისოდ დაბრუნდა თავის აეროდრომზე. დავალება შესრულებულ იქნა. ორდენოსანმა უფროსმა ლეიტენანტმა პროვორინნმა „მესერშმიტთა“ ჭარბ ჯგუფთან საჰაერო ბრძოლის დროს მძლავრი დარტყმით მიწას დაანარცხა მტრის თვითმფრინავი „მე-109 ფ.“ ასე გაიხსნა ანგარიში ფაშისტ მეკობრეთა განადგურებისა. მას შემდეგ მხოლოდ 9 დღე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში „საბჭოთა საქართველოს“ სტალინური შევარდნების მძლავრი დარტყმებით განადგურებულია მტრის 13 თვითმფრინავი.

ჩვენი ავიაქვეგანაყოფის მძლავრი კოლექტივი ენერგიულად განაგრძობს მტრის განადგურებას ჰაერში და ხმელეთზე.

საქართველოს მშრომელი ხალხის ნდობა გამართლებული იქნება.

მ. გ. ოდიშარია

მე-3 რანგის სამხედრო ექიმი

მოქმედი არმია.
აპრილი 1943 წ.

ნათესები გეგმის გადამეტებით

ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში უმხურვალესი გამოხმაურება ჰპოვა იაროსლავლის ოლქის იაროსლავლის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ გორშიხის კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალების მოწოდებამ. სასოფლო-სამეურნეო სოფლის მშრომელები იაროსლავლელ კოლმეურნეთა მაგალითისამებრ გეგმის გადამეტებით სთესენ საგაზაფხულო კულტურებს თავდაცვის და ფაშისტ დამპყრობთაგან დაზარალებულ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დახმარების ფონდისათვის და ამავე მიზნით ზრდიან საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას. ეს ახალი დიდი პატრიოტული მოძრაობა საკოლმეურნეო სოფელში მიმართულია იქითკენ, რომ კიდევ უფრო მზარდი დახმარება გავუწიოთ ფრონტს და ჩვენს ძმებსა და დებს, რომლებიც განთავისუფლდნენ და თავისუფლდებიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა უღლისაგან.

ეს დიდი პატრიოტული მოძრაობა მოწმობს საბჭოთა გლეხობის უმხურვალეს სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი და სიძულვილს ვერაგი მტრისადმი. ჩვენი დიდი ქვეყნის კოლმეურნეები კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ იაროსლავლელთა კეთილშობილურ თაოსნობას. გეგმის გადამეტებით სულ მცირე 10 ათასი ჰექტარის დათესვა იკისრა მოსკოვის ოლქმა. გორკელები გეგმის გადამეტებით სთესენ სულ მცირე 15 ათას ჰექტარს. თავდაცვის ფონდისათვის 10 ათასი ჰექტარის დათესვა იკისრეს კალინინის ოლქის კოლმეურნეებმა.

საქართველოში გორშიხელთა პატრიოტულმა მიმართვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. კოლმეურნეობები გეგმის გადამეტებით სთესენ თავდაცვის და ძმური დახმარების ჰექტარებს, ზრდიან საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას. მახარაძის იაროსლავლის სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ თავდაცვის და ფაშისტ დამპყრობლებისაგან დაზარალებული კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების დახმარების ფონდში დასთესა 18 ჰექტარი მარცვლეული კულტურები და ზრდის 8 სულს საქონელს ფაშისტთა უღლისაგან განთავისუფლებული ჩვენი დებისა და ძმებისათვის გადასაცემად. ამავე რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით დასთესა 10 ჰექტარი და თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის გამოჰყო 8 სული საქონელი. წითელწყაროს რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ, შეასრულა რა თესვის სახელმწიფო გეგმა, თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდში დასთესა 30 ჰექტარი მარცვლეული კულტურები და გასასუქებლად დააყენა 39 სული საქონელი.

საქართველოში წელს საგაზაფხულო კულტურების თესვა ორგანიზებულად მიმდინარეობს. საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები დაუღალავად მუშაობენ, რომ წელს ჩვენს ქვეყანას და გმირ წითელ არმიას მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ამავე დროს კოლმეურნეობები ასრულებენ თავიანთ პირობას და იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად გეგმის გადამეტებით სთესენ - მარცვლეულ - კულტურებს. სიღნაღის რაიონმა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით დასთესა 251 ჰექტარი მარცვლეული კულტურები, ამ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეობათთვის გადასაცემად გამოზარდონ 592 სული საქონელი. თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა დასთესეს 110 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, ბოგდანოვკისამ—101 ჰექტარი, წყალტუბოს რაიონმა 66 ჰექტარი, მცხეთის რაიონმა—76 ჰექტარი, ზესტაფონის რაიონმა—100 ჰექტარი. ასპინძის რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმის გადაჭარბებით დასთესეს 79 ჰექტარი. მათ ვალდებულება იკისრეს სახელმწიფო გეგმის გადამეტებით გამოზარდონ 134 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი და 292 სული ცხვარი. არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით არ დასთესავს თავდაცვისა და ძმური დახმარების ჰექტარებს. თესვის სახელმწიფო გეგმის შესრულებასთან ერთად საჭიროა გადამეტებით დაითესოს თავდაცვის ჰექტარები ყოველ კოლმეურნეობაში. საამისოდ ყველა პირობა არსებობს. **„ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ფართოდ განუმარტონ ყველა კოლმეურნეს და კოლმეურნე ქალს იაროსლავლის ოლქის არტელ გორშიხის თა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 მაისის დილის ცნობა

8 მაისის ღამის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტერთან. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა შავ ზღვაში ჩასძირეს მტრის ტრანსპორტი.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 5 ნაწილის არტილერისტები გერმანელთა სიმაგრეებს უშენდნენ და დაანგრიეს 24 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 9 ბლინდაჟი, ჩაახშეს მტრის 6 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. გვარდიელმა ნაღმტყორცნელებმა ცეცხლითა თავდასხმა მოახდინეს მტრის ქვეითი ჯარის დაჯგუფებაზე და 200-მდე ჰიტლერელი მოსპეს.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მზვერავთა რაზმებმა მოსპეს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მზვერავთა ჯგუფი უმცროს სერჟანტ შურუპოვის მეთაურობით გერმანელთა ძელმიწურ საცეცხლე წერტს მიეპარა და გრანატები დააყარა მას. ჩვენმა მებრძოლებმა დახოცეს ძელმიწურ საცეცხლე წერტში მყოფი ჰიტლერელები, ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევი, შაშხანები და ამშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ამ დღეებში გერმანელები განდევნეს ერთი დასახლებული პუნქტიდან. მტერი ცდილობდა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები და მთელი რიგი კონტრიერიშები მოიტანა. 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელების ყველა კონტრიერიში, წინ წაიწიეს და დაიკავეს დიდი მნშვნელობის მქონე ორი მაღლობი. ამ ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი, 5 ქვემეხი, 34 ტყვიამფრქვევი და სანაღმმტყორცნო ბატარია. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

სუვსკის რაიონში 6 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს მტრის ქვემეხი, 8 ავტომანქანა

9 მაისის საღამოს ცნობა

9 მაისის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის სიმაგრეების დასანგრევად. ცალკეულ უბნებზე გერმანელები გააფთრებული კონტრიერიშებით ცდილობდნენ მათ მიერ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას. ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერიეს და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მას.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენმა ბომბმა შავ ზღვაში ჩასძირა ტრანსპორტი მოწინააღმდეგის ჯარებისანად.

გასულ კვირაში, 2-დან 8 მაისამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 930 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 235 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, 6 ნაწილის შენაერთები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ. ჩვენმა არტილერისტებმა ჩაახშეს გერმანელთა 14 საარტილერიო და 6 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, მოსპეს 3 ექსკლუალიანი ნაღმსატყორცნი, დაანგრიეს რამდენიმე ათეული ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. აზოვის ზღვაში ჩასძირულია მოწინააღმდეგის 4 კატერი და 4 მოტორიანი ნავი მათში მყოფ ჰიტლერელებიანად.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. ჩვენი ავიაციის მიერ მიტანილი იერიშებისა და დაბომბვის შედეგად მოსპობილია მოწინააღმდეგის 40 სარკინიგზო ვაგონი, 4 ორთქლმავალი და 25-ზე მეტი ავტომანქანა. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია გერმანელთა 2 ავიაგამანადგურებელი.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მოწინააღმდეგემ, რომელიც ცდილობდა დაებრუნებინა საბჭოთა ქვეგანაყოფების მიერ დაკავებული დასახლებული პუნქტი, რამდენჯერმე პოიტანა კონტრიერიში. გერმანელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს 2 პოლკამდე ქვეითი ჯარი, 60 ტანკი და ავიაციის მნიშვნელოვანი ძალები. საბჭოთა მებრძოლებმა, რომელნიც იგერიებდნენ მტრის კონტრიერიშებს და უმკლავდებოდნენ მისი რიცხვობრივად ჭარბი ძალების მოწოლას, დაზიანეს და დასწვეს გერმანელთა 25 ტანკი და

10 მაისის დილის ცნობა

9 მაისის ღამის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტერთან. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იმ ნაწილის ნაღმტყორცნელები რომლის მეთაურიც არის ამხ. სუეოროვი, ეხმარებოდნენ ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფებს და ორ ასეულამდე ჰიტლერელი გასწყვიტეს. საარტილერიო ბატარეებმა ამხ. საუკოვისა და სუხომლინოვის მეთაურობით მოსპეს მტრის 6 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეა, 21 სატყვიამფრქვევი წერტი და დაანგრიეს 8 ბლინდაჟი.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე კონტრიერიში, მოსპეს 3 ტანკი და გასწყვიტეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით გერმანელთა ქვეითი ჯარი ცდილობდა წყლის ზოუდის გადმოლახვას. ჩვენი ქვეგანაყოფები მტერს თოფტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდნენ და 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. 6 ნაწილის არტილერისტებმა დაამსხვრიეს გერმანელთა 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი, მოსპეს 5 ავტომანქანა და 10 საზიდარი საომარ მასალიანად.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით გრძელდებოდა საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლა მტერთან. 6 ნაწილის სნაიპერებმა ერთი დღის განმავლობაში 36 ჰიტლერელი დახოცეს. საბჭოთა მფრინავმა გამანადგურებლებმა გერმანელთა თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-189“ აიძულეს დაშვებულიყო ჩვენს ტერიტორიაზე.

თესვის გეგმების შესრულება

კასპის რაიონში თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა შესრულა 106,6 პროცენტით. დათესილია 2.747 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.575 ჰექტარისა. სიმინდის თესვის გეგმა შესრულებულია 101,8 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა—101 პროცენტით, კარტოფილისა—100 პროცენტით.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ქველაძე
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გოგრჯოლაძე

* * *

კაჩრეთის მტს-მა საგაზაფხულო ხვნის გეგმა დაწესებულ ვადაზე ადრე 106 პროცენტით შეასრულა. მოხნულია 2.021 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.900 ჰექტარისა.

ი. თევდორაშვილის სატრაქტორო ბრიგადამ ხვნის გეგმა 136 პროცენტით შეასრულა, ს. ხალინინის ბრიგადამ—115 პროცენტით. კარგად იმუშავეს გ. ღვინიაშვილის, ტ. ბაღრეევის და ნ. ფრიდონაშვილის სატრაქტორო ბრიგადებმა.

ხვნის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ტრაქტორისტებმა გ. ზირაქაშვილმა, ყარა ახმედ-ოღლიმ, ვ. ბარბაქაძემ, შ. ლაზროვმა.

კაჩრეთის მტს-ის დირექტორი მეტრეველი
პოლი ტგანყოფილების უფროსი ბილანიშვილი

იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად

ძმური დახმარება გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს

სილნალი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად რაიონის კოლმეურნეობებში დათესილია 251 ჰექტარი მარცვლეული კულტურები, აგრეთვე გამოყოფილია როგორც ახალი ნამატი, ისე გამოზრდილი მსხვილფეხა რქიანი საქონელი, ცხვარი და ღორი—592 სული.

ამას გარდა, კოლმეურნეობები ამზადებენ 156 ტონა საქონლის საკვებს—თივას და სილოსს, რაც მოსავლის აღებისთანავე გაეგზავნება გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებს.

* * *

ლაგოდეხი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ლაგოდეხელი კოლმეურნეები გულმოდგინედ იბრძვიან თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად და გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად. 1942 წლის შემოდგომაზე ამ მიზნით მათ დასთესეს 140 ჰექტარი თავთავიანი კულტურები, ამჟამად კი იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად თავდაცვის ფონდისათვის და გერმანელი დამპყრობლებისაგან დაზარალებული კოლმეურნეობებისადმი ძმური დახმარებისათვის დათესილია 285 ჰექტარი მარცვლეული კულტურები.

* * *

წულუკიძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). წულუკიძის რაიონის სოფ. პატარა ჯიხაისის ხრუშოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. მიქაძე) დასთესა 210 ჰექტარი სიმინდი, ნაცვლად 196 ჰექტარისა, აქედან 5 ჰექტარი დათესილია ფაშისტ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დასახმარებლად. წულუკიძის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ბახტაძე) გეგმით გათვალისწინებული 209 ჰექტარის გარდა დასთესა 4 ჰექტარი თავდაცვისა და ძმური დახმარების ფონდისათვის. მთლიანად რაიონში კი კოლმეურნეები იაროსლავლელთა მიმართვის პასუხად სთესენ 108 ჰექტარს და ზრდიან 110 სულ მსხვილფეხა საქონელს, 51 თხას და ასუქებენ 78 ღორს.

ჯ. ცაცუა

* * *

ჭარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭარელის რაიონის სოფ. ბერძენაულის კოლმეურნეობას იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად დათესილი აქვს 5 ჰექტარი თავდაცვის ფონდისათვის, დამატებით სთესენ 3 ჰექტარს და ზრდიან 1 სულ მსხვილფეხა და 5 სულ წვრილფეხა პირუტყვს. ზემო ხვედურეთის კოლმეურნეობა სთესავს 5 ჰექტარ მარცვლეულს და ზრდის 2 ძროხას და 5 ღორს, ახალსოფლის კოლმეურნეობა კი სთესავს 6 ჰექტარს და ზრდის 3 სულ მსხვილფეხა რქიან საქონელს და 5 ცხვარს.

ვ. ინასარიძე

* * *

მაიაკოვსკის რაიონის სოფ. საკრაულას პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობა გეგმის გადამეტებით სთესავს თავდაცვის ფონდისათვის სამ ჰექტარ სიმინდს და ფაშისტი დამპყრობლებისაგან დაზარალებულ კოლმეურნეთა დახმარების ფონდისათვის — ერთ ჰექტარ სიმინდს. ამავე კოლმეურნეობამ იკისრა ფაშისტი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა დახმარების ფონდისათვის გეგმის გადამეტებით გაზარდოს 2 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 1 ღორი, 5 თხა და 10 ქათამი.

ჩხეტია
რაიონული გაზეთის რედაქტორი.

* * *

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). თავდაცვის ფონდისათვის და გერმანელ დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეობათა დასახმარებლად ჭიათურელი კოლმეურნეები სახელმწიფო გეგმის გადამეტებით სთესავენ 41 ჰექტარს და ზრდიან 52 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ სოფ. კაცხის სტალინის სახელობის, ხრეითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები. მათ თავდაცვის ფონდისათვის თითო ჰექტარი დასთესეს და ამავე დროს მსხვილფეხა საქონელს ზრდიან.

პ. ჭიოკაძე

* * *

ჟუთაისი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჟუთაისის რაიონის სოფ. ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა იაროსლავლელთა მოწოდების პასუხად გეგმის გადამეტებით სთესავს თავდაცვის ფონდისათვის და ფაშისტ დამპყრობლებისაგან განთავისუფლებული რაიონების დასახმარებლად 8 ჰექტარ სიმინდს და ასუქებს 3 სულ მსხვილფეხა საქონელს. სოფ. ქვიტირის კოლმეურნეობა „შროშის“ წევრები კი ამავე მიზნით სთესავენ 2 ჰექტარ სიმინდს.

ბ. სამხარაძე

* * *

ცხაკაია („კომუნისტის“ საკ. კორ.). იაროსლავლელთა მოწოდების პასუხად სოფ. ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ხ. ბესელია) გეგმის გადამეტებით სთესავს 8 ჰექტარ სიმინდს. ამისა, მარტო საკოლმეურნეო ფერმების ბუშაკთა ძალებით ითესება 1 ჰექტარი მარცვლეული და 1 ჰექტარი სოია, კოლმეურნეობა ასუქებს 5 ღორს და 3 სულ მსხვილფეხა რქიან საქონელს. ამავე რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა თავდაცვის ფონდისათვის სთესავს 5 ჰექტარ სიმინდს. გარდა ამისა, აღებულია ვალდებულება გეგმის გადამეტებით გაასუქონ და თავდაცვის ფონდში გადასცენ 5 ღორი და 4 სული მსხვილფეხა საქონელი. ფერმის მუშაკები კი სთესავენ თითო ჰექტარ სიმინდსა და სოიას.

ს. კუჭავა

* * *

ხაშური („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფ. ქვემო მიწობის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ვ. ფოცხვერაშვილი), სადაც გეგმის გადამეტებით დათესილია 12 ჰექტარი პური და 10 ჰექტარი სიმინდი, ახლა თავდაცვის ფონდისათვის და გერმანელ ოკუპანტთაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ითესება 3 ჰექტარი სიმინდი. აქვე ზრდიან 2 სულ მსხვილფეხა რქიან საქონელს და ასუქებენ თითო სულ ღორსა და ცხვარს. ამავე რაიონის სოფ. კრისხევის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ი. გაგლოშვილი), სადაც გეგმის გადამეტებით 16 ჰექტარია დათესილი, იაროსლავლელთა პასუხად დაიწყო 4 ჰექტარი სიმინდის თესვა და 6 ცხვრის გასუქება. ვალდებულებები აიღეს და მუშაობას შეუდგნენ აგრეთვე სოფ. დიდი ხალების, გომის და სხვა კოლმეურნეობათა წევრები.

ლ. კაკიაშვილი

* * *

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებში იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად მუშაობა ახალი ძალით გაჩაღდა. სოფ. მარტყოფის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. გ. მათიაშვილი) აღებული ვალდებულებების საფუძველზე გეგმის გადამეტებით შეუდგნენ 3 ჰექტარ საგაზაფხულო ქერისა და 5 ჰექტარ მზესუმზირას თესვას, აგრეთვე 10 ცხვრისა და 3 სული მსხვილფეხა საქონლის გამოზრდას. სოფ. ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. კ. დალაქიშვილი) დაიწყო 3 ჰექტარი სიმინდის, მზესუმზირას და ფეტვის თესვა, 2 ღორის, 5 ცხვრისა და 2 ხბოს გასუქება.

ა. კოტრახაშვილი

თეთრი წყაროს („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობები სთესავენ 21 ჰექტარ მარცვლეულს და ასუქებენ 42 სულ წვრილფეხა და 7 სულ მსხვილფეხა საქონელს. სოფ. კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ამხ. ი. დალაქიშვილი) წევრები, რომლებმაც წელს გეგმის გადამეტებით 6 ჰექტარი მარცვლეული დასთესეს, ახლა იაროსლავლელთა მოწოდების პასუხად დასთესეს 5 ჰექტარი სიმინდი და 0,5 ჰექტარი ლობიო, აგრეთვე იკისრეს გამოზარდონ 20 ცხვარი და 5 სული მსხვილფეხა საქონელი, ხოლო მოწინავე კოლმეურნეებმა: გ. მიკირტუმაშვილმა, ვ. კვიცაძემ, ს. ავდარიოზაშვილმა, ვ. პაპაშვილმა, ი. პოჭიკაშვილმა, ა. ღაღუთაშვილმა, ვ. დალაქიშვილმა და მ. აგიფოღლიმ იკისრეს გამოზარდონ ძმური დახმარების ფონდისათვის თითო ცხვარი. სულ რაიონში თავდაცვის ფონდისა და ძმური დახმარებისათვის 200 ჰექტარზე მეტი ითესება.

აკ. ჩავლეიშვილი

* * *

აბგროლაური („კომუნისტის“ საკ. კორ.). სოფ. წესის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იაროსლავლელთა მოწოდების პასუხად მოწოდებით მიმართეს რაიონის ყველა კოლმეურნეს გეგმის გადამეტებით დასთესონ თავდაცვისა და ძმური დახმარების ჰექტარები, გამოზარდონ და გაასუქონ საქონელი, თვითონ კი იკისრეს ამავე მიზნით დასთესონ 5 ჰექტარი მარცვლეული და გამოზარდონ და გაასუქონ 5 თხა და 25 ქათამი.

ვ. ვაჩაძე

* * *

გოლნისი („კომუნისტის საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები იაროსლავლელ კოლმეურნეთა მოწოდების პასუხად სთესავენ 250 ჰექტარ მარცვლეულ კულტურებს. გარდა ამისა, აღებულია ვალდებულება გამოზარდონ და გაასუქონ საქონელი. სოფ. ბალიჭის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. ს. ბერიძე) აღნიშნული, მიზნით კოლმეურნეთა პირადი მარაგის თესლით უკვე დასთესა 4 ჰექტარი სიმინდი და გეგმის ზევით ასუქებს 5 სულ მსხვილფეხა რქიან საქონელს და 5 ცხვარს. სოფ. ქვედა კოშა-კილისის კოლმეურნეობა „იგდამის“ წევრებმა თავდაცვის ფონდისა და ძმური დახმარებისათვის დასთესეს 2 ჰექტარი სიმინდი და დაიწყეს 2 ღორისა და ერთი ცხვრის გასუქება.

დ. სტეფანია

დეპეშები

საომარი მოქმედება ჩუნისში

ლონდონი, 9 მაისი (საკადესი). ჩრდილოეთ-აფრიკის მოკავშირეთა ძალების შტაბის კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჩუნინ ტუნისის მთელ ფრონტზე გრძელდებოდა მოკავშირეთა ჯარების შეტევა. ტუნისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ინგლისის პირველი არმიის ჯავშანსატანკო ნაწილებმა კვლავ წინ წაიწიეს. ამავე დროს ამერიკელთა მეორე კორპუსის ჯავშანსატანკო კოლონები, რომლებიც ბიზერტიდან და მატეურიდან მდიოდნენ, ინგლისის პირველი არმიის ნაწილებს შეუერთდნენ. ინგლისელთა სხვა ჯავშანსატანკო კოლონებმა ტუნისიდან წინ წაიწიეს ბონის ნახევარკუნძულის შესასვლელამდე. სამხრეთით ფრანგთა ჯარებმა და პირველი არმიის ნაწილებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი პუნქტი ზაგუანი. ტუნისის ფრონტის სამხრეთ უბანზე მე-8 არმიამ აგრეთვე წაიწია წინ და ხელთ იგდო ტყვეები. ფრონტის მთელ სიგრძეზე, ბონის კონცხის ნახევარკუნძულის მისადგომებს გარდა, მტრის წინააღმდეგობა, როგორც სჩანს, სავსებით დეზორგანიზებულია. მტრის ჯარისკაცთა ჯგუფები კვლავ ტყვედ გვნებდებიან. გასაწმენდი დარჩა კიდევ მტრის წინააღმდეგობის იზოლირებული მცირე კვანძები. მოწინააღმდეგე დიდძალ საჭურველს სტოვებს. 5 მაისიდან მოკიდებული მოკავშირეთა ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს სულ ცოტა 20.000 კაცი.

მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაციას განუწყვეტელი ინტენსიური იერიშები მიჰქონდა მტრის ძალებზე. ამ იერიშების ობიექტები იყვნენ ჯარების, ავტომანქანების დაჯგუფებანი, აგრეთვე მტრის აეროდრომები ბონის ნახევარკუნძულზე.

ალჟირის რადიო იუწყება, რომ მტრის დაახლოებით 120.000 ჯარისკაცი გარშემორტყმულია. გერმანელები და იტალიელები უწყვეტლივ ცდილობენ უკან და არ შეუძლიათ რამდენადმე მაინც სერიოზული წინააღმდეგობა გასწიონ. მათი უკანასკნელი თავდაცვითი ხაზები მოშლილია.

ამერიკული პრესა ჩუნისში მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვების შესახებ

ნიუ-იორკი, 9 მაისი (საკადესი). ამერიკული პრესა აღფრთოვანებულ სტატიებს უძღვნის ტუნისში მოკავშირეთა ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებას.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ სწერს, რომ ტუნისში განადგურებული იტალიელ-გერმანელთა არმიის ნამოვებმა ზღვისაკენ იბრუნეს პირი იმ იმედით, რომ თავის გადარჩენას მოახერხებენ. მაგრამ გემები და თვითმფრინავები ანა სჩანან, რომ მათი ევაკუაცია მოახდინონ. ამას წინათ ყოფილა ჰიტლერულმა გერმანიამ თავისი არმიები დაჰკარგა სტალინგრადთან. ახლა ჰიტლერი შიშით მოელის მოკავშირეთა მომავალ შეტევას თავისი მლიქნელი იტალიელი თანამონაწილის წინააღმდეგ ან მოკავშირეთა შეტევას სხვა რომელიმე ქვეყნის სანაპიროში. „გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა, —სწერს გაზეთი,—ძნელია. ფასი, რაც ამ გამარჯვებისათვის უნდა გავიღოთ, დიდია, მაგრამ მითი უძლეველი მხეცის შესახებ გაჩქრა. ეს მხეცი დამარცხებულ იქნება თავისუფლებისმოყვარე ხალხების მიერ“.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი“ აღნიშნავს მოკავშირეთა შეტევის ძალასა და სისწრაფეს, რამაც ტუნისისა და ბიზერტის დაკავება გამოიწვია. ამ გამარჯვებას, სწერს გაზეთი, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აფრიკა ეეღარ დაიბანდების მოკავშირეთა გემებს, სამხედრო მასალებსა და ადამიანთა რესურსებს. მოსალოდნელია მოკავშირეთა შეტევა ევროპის კონტინენტში.

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ღა-კუღეზი, ფეზურბა და ჯედეიდა

ნიუ-იორკი, 9 მაისი (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საagენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეებმა დაიკავეს ნავსადგური ლა-ჰულეტი. ინგლისის ქვეითმა ჯარმა დაიკავა ტებურბა და ჯედეიდა.

გენერალ ეიზენჰაუერის განცხადება

ლონდონი, 9 მაისი (საკადესი), როგორც რეიტერის საagენტო გადმოგვცემს, ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ღერძის სახელმწიფოთა ჯარებმა ტუნისში, გარშემორტყმულ რამდენიმე იზოლირებულ ჯგუფს გარდა, ორგანიზებული წინააღმდეგობა შესწყვიტეს.

ყველა ნამოყვანილია გერმანელთა დივიზიების სამი მეთაური

ლონდონი, 9 მაისი (საკადესი). როგორც რეიტერის საagენტო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბმა დღეს სპეციალურ კომუნიკეში გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამერიკელთა მეორე კორპუსმა დაამთავრა მტრის ჯარების ნამოყვანილი ბიზერტის რაიონის გაწმენდა. ამ რაიონში მტრის ყოველივე წინააღმდეგობა შესწყდა.

ამ უკანასკნელ დღეებში მოკავშირეთა ჯარების მიერ წამოყვანილ ტყვეებს შორის არის გერმანელთა დივიზიების 3 მეთაური, მათ შორის მე-15 ჯავშანსატანკო დივიზიის მეთაური, და მათი შტაბები.

საომარი მოქმედება ხმელთაშუა ზღვის ბასეინში

ლონდონი, 10 მაისი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოწინააღმდეგისაგან ტუნისისა და ბიზერტის გაწმენდის შემდეგ, მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ძალებმა ბონის კონცხის ნახევარკუნძულის ბლოკადა მოახდინეს, სადაც თავმოყრილია მტრის ჯარების ნაშთები. ხომალდები საპატრულო ოპერაციებით არა ქმაყოფილდებიან და მოწინააღმდეგის პოზიციებს უშენენ ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს. ტუნისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მტერმა გუშინ 11 საათისთვის ყოველგვარი ორგანიზებული წინააღმდეგობა შესწყვიტა. ამ დროისათვის ამერიკის მეორე კორპუსმა გარშემორტყმული ნაწილები აიძულა უსიტყვოდ დანებებოდნენ. არასრული ცნობებით, მარტო ამ ერთ სექტორში ტყვედ წამოყვანილია 25.000-მდე კაცი, რომელთა შორის 6 გენერალია. წამოღებულია აგრეთვე დიდძალი სხვადასხვა სამხედრო საჭურველი.

ტუნისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჯერ კიდევ ძმიმე ბრძოლები სწარმოებს, რადგან მტერი გაშმაგებულ წინააღმდეგობას ეწევა.

ავიაცია კვლავ მასირებულად ურტყამდა მოწინააღმდეგის ჯარებსა და ტრანსპორტებს ბონის კონცხის ნახევარკუნძულზე. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის. ბომბები ჩამოყრილ იქნა აგრეთვე სანაპიროსთან და ბიზერტის აღმოსავლეთით მდგომ მტრის გემებზე. მოწინააღმდეგის რამდენიმე გემი ჩაძირულია, სხვები დაზიანებულია.

ბომბდამშენთა დიდი შენაერთი თავს დაესხა აეროდრომს კუნძულ პანტელერიაზე. შემჩნეულია რამდენიმე ხანძარი. 8 მაისს ღამით მიტანილ იქნა იერიში მტრის აეროდრომებზე კუნძულ სარდინიაზე.

7 მაისიდან ტუნისში ტყვედ წამოყვანილია სულ ცოტა 50.000 კაცი. გუშინ ტუნისში მტრის არც ერთი თვითმფრინავი არ გამოჩენილა. როგორც სჩანს, გერმანიის ავიაცია გაყვანილია ბრძოლიდან.

როგორც რეიტერის საagენტო იუწყება, 8 ნოემბრიდან 8 მაისამდე მოკავშირეებმა ტყვედ წაიყვანეს 64.000 გერმანელი და იტალიელი. ამავე ხნის განმავლობაში მოწინააღმდეგემ 42.000 კაცი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მწყობრიდან გამოყვანილ იქნა 330 ტანკი, წამოღებული ან მოსპობილია 500 ზარბაზანი და 4.500 მანქანა. მარტო გუშინ დილას ბიზერტის რაიონში ტყვედ დანებდა 5.000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთაც მარცხი განიცადეს ევაკუაციის ცდის დროს.

ალჟირის რადიოს ცნობით, მტრის წინააღმდეგობა სავსებით დეზორგანიზებულია. მოწინააღმდეგის ჯარისკაცები ათასობით ნებდებიან ტყვედ. მოწინააღმდეგის. ჯარები დიდძალ სამხედრო საჭურველს ჭყრიან გზებზე. მოკავშირეთა ავიაცია სისტემატურად ბომბავს და უშენს ტყვიამფრქვევს გზებს, რომლებითაც მტერი იხევს.

რეიტერის საagენტოს მტკიცებით, მოწინააღმდეგის ორ უდიდეს აეროდრომზე ტუნისის მახლობლად და ბიზერტის გარეუბნში აღმოჩენილია მტრის სხვადასხვა სისტემის 200 დამტვრეული თვითმფრინავი.

ლონდონი, 10 მაისი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ დღისით ამერიკის მძიმე ბომბდამშენები დიდი წარმატებით დაესხნენ თავს მესინის ნავსადგურს სიცილიაში. შემჩნეულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა ორ ხომალდს, რკინიგზის დეპოს, სათადარიგო გზებსა და სხვა სამხედრო ობიექტებს.

პალერმოზე გუშინდელი თავდასხმის დროს დაზიანებულ იქნა გემსაშენები და „ფიატის“ ქარხანა. ნავსადგურში ჩამოყრილ იქნა მრავალი ბომბი. კვამლი იმდენად სქელი იყო, რომ მზვერავმა თვითმფრინავებმა, რომელიც თავდასხმის ერთი საათის შემდეგ გაჩნდნენ, ვერ გადაიღეს ნავსადგურში მომხდარი ნგრევის სურათი.

ინგლისელ კოლმეურნეთა ბრიგადა ბაკურიანში

ბაკურიანი, 10 მაისი. ინგლისელ კოლმეურნეთა ბრიგადა ბაკურიანში ჩამოვიდა ინგლისიდან. ბრიგადა ინგლისელ ქალებისგან შედგება. ბრიგადა ბაკურიანში ჩამოვიდა ინგლისელ ოფიცრებთან ერთად. ინგლისელ ოფიცრებს ბაკურიანში ინგლისელ ქალებისგან ბრიგადა ჩამოყალიბებული ჰქონდა